



# შირაკი

## SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (9.784)  
10 - 17 ივნისი 2017 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა



მმ.2

### ხალხური სიმღერის წიგნი და „ოქროს ბიჭების“ ტრიუმფი

## საუკუნის მკვლევარობა



მმ.5



მმ.3

### ბავშვები- ბარემოს დამცველები



მმ.4

### ისტორიული ცნობები მირზაანის შესახებ

### კახეთში საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება, გადამუშავება და სასუქად გამოყენება მოხდება



მმ.5



მმ.6

### ვსნავლობთ ფრანგულ ენას

## ინკასაციიდან 38 000 ლარის გამტაცებელი დედოფლისწყაროში დააკავეს



ინკასატორების დაყაჩაღების საქმე გახსნილია – შსს-ს თანამშრომლებმა, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით 1993 წელს დაბადებული ორი პირი დააკავეს. გამოძების მტკიცებით, მათ „თი-ბი-სი ფეის“ ინკასაციის ორი თანამშრომელი იარაღის მუქარით თბილისში, დოლიძის ქუჩაზე დააყაჩაღეს... 38 000 ლარის სხვადასხვა ვალუტა გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიზღვეს.

სამართალდამცველებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან ორ დღეში, ერთი მამაკაცი ვ.ს. დედოფლისწყაროში, ხოლო მეორე თბილისში დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულების საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, გატაცებული თანხის ნაწილი – 16 000 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღო... დედოფლისწყაროში დაკავებული მამაკაცის სახლიდან ამოღებულია 2 პისტოლეტი, რომლებიც გადაგზავნილია ექსპერტიზაზე. ორივე დაკავებული დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით, – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

## „ყველა ქალი იყოს ბედნიერი“



მმ.8



# ხალხური სიმღერისა და ჩვენი კუთხის სიძველეების ზეიმი და „ოქროს ბიჭების“ ტრიუმფი

მუზეუმის საერთაშორისო კვირეული მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის მოსწავლეებმა და აქვე არსებული ვაჟთა ანსამბლის წევრებმა ერთობლივი ღონისძიებით დახურეს მუზეუმის საგამოფენო დარბაზში.

- საანგარიშო კონცერტის ჩატარებას ისედაც ვგეგმავდით, მაგრამ, როდესაც გელა გველუკაშვილმა სალონური საღამოს იდეა შემოგვთავაზა, ყველა აღფრთოვანებული დავრჩით, რადგან ეს აკადემიური კონცერტისაგან ფორმითაც განსხვავდებოდა და შინაარსობრივადაც. მიუხედავად, რომ ეს ქართული ხალხური სიმღერისა და ჩვენი კუთხის სიძველეების ზეიმი იქნებოდა, რადგან, როგორც მუზეუმის სივრცეში გამოფენილი უძველესი ექსპონატები მოგვითხრობენ ამ კუთხის ისტორიას, ასევე ანსამბლის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები თუ ძველი ქართული საგალობლები გააცოცხლებდნენ ჩვენი დიდებული წინაპრების სახეებს, წესჩვეულებებს, ყოველდღიური ცხოვრების სურათებს შრომასა თუ ბრძოლაში, ჭირსა თუ ლხინში. მითუმეტეს, რომ სკოლამ სულ ცოტა ხნის წინ სერიოზულად დიდ წარმატებას მიაღწია: საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საფუნდო კონკრეტების მესამე ეროვნულ კონკურსზე უფროსკლასელთა ქვეკატეგორიაში მათ ერთდროულად ორი ოქროს მედალი მოიპოვეს გალობაში და ხალხური სიმღერის შესრულებაში, რაც უიშვიათესი შემთხვევაა. აქვე უმცროსკლასელთა ქვეკატეგორიაში ბრინჯაოს მედალი შეფასდა მათი გამოვლა, ხოლო გაერთიანებულ გუნდს მეორე ადგილი და ლაურიატის ნოდება ხვდა წილად. ეს ყველაფერი სიმღერის პედაგოგის და ლოტბარის გელა გველუკაშვილს, გალობის პედაგოგის მარინა მგელიაშვილის და მთელი სკოლის პედაგოგების დაუღალავი მუშაობისა და დიდი მონდომების შედეგია. აქვე გადაწყვიტეთ, რადგან ჩვენი სკოლა ჰამლეტ გონაშვილის სახელს ატარებს სტუმრად მოგვეწვინა დიდი ჰამლეტ გონაშვილის ოჯახის წევრები. დღეს ჩვენთან ჩამობრძანდნენ მისი შვილები-დიმიტრი და გიორგი, რძალი თინათინ ფარჯანი და შვილიშვილი პატარა იოანე. იმედია, წინ ღამაში და შინაარსიანი საღამო გველოდება, - თქვა ჩვენთან საუბარში ღონისძიების დაწყების წინ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებმა მათა ზედღამევილი.

კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა მონაწილე სტუმრებს - ჰამლეტ გონაშვილის ოჯახის წევრებს, ქართული ხალხური სიმღერის დიდ ქომავალს დათო ცინცაძეს და მათ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ღონისძიება „მრავალფეროვანი“ დასრულდა და გუგუნებდა მთელი დარბაზი - „ღმერთმა ინებოს, ღმერთმა ინებოს, ღმერთმა ინებოს თქვენი სიცოცხლე“.

კომენტარი ვთხოვეთ თამარ თამაზაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა სულ რაღაც სამ წელს ითვის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მათი საქმიანობით დაამტკიცა, რომ ღირსეულად ასრულებს თავის მისიას, რაც გამოიხატება ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლასა და პოპულარიზაციაში, მათ წარმატებულ გამოვლევებში ფესტივალებსა თუ სხვა კულტურულ ღონისძიებებზე. აღნიშნული წარმატებები დადასტურდა ანსამბლის მიერ სამი წლის განმავლობაში მიღებული მრავალი ჯილდოთი, რომლებიც დაგვირგვინდა სულ ცოტა ხნის წინ მესამე ეროვნულ კონკურსზე მოპოვებული უმაღლესი ჯილდოთი - ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი. აგრეთვე, ნომინაციაში „კონკურსში აქტიური და წარმატებული მონაწილეობისათვის“ დიპლომი გადაეცა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს მათა ზედღამევილს, ხოლო ნომინაციაში „კონკურსში აქტიური მონაწილეობისათვის“

მხარი დაუჭირეს ამ სამიწილიშვილო საქმეს. პროექტის ხელმძღვანელი ფოლკლორული ანსამბლის „მანანადა“ ხელმძღვანელი დათო ცინცაძე გახლდათ. ის დღესაც ამ სკოლის კურატორი და ბევრ დახმარებას გვინვეს. ძალიან კარგი პედაგოგიური კოლექტივი ჩამოყალიბდა: დირექტორად სოფო მაჭარაშვილი შევარჩიეთ (დღეისათვის ის სადგურეტო შვეტულუბაშია) ხალხურ სიმღერას გელა გველუკაშვილი ასწავლის, გალობას- მარინა მგელიაშვილი, სოლფეჯიოს, რომელიც უაღრესად რთულია, რადგან სამ ხმაში ხდება ფოკუსირება- შესანიშნავი სპეციალისტი მარინა კიკლაშვილი, ზოგად ფორტეპიანოს მუსიკის ელემენტარულ თეორიასთან ერთად უძღვება მათა ზედღამევილი, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს კითხულობს ფოლოლოგი ვლადიმერ პოპიაშვილი. მათი შრომის ნაყოფი შედეგებში თვალსაჩინოდ ჩანს. დღევანდელი საღამოც მშვენიერი გამოვიდა. მადლობა მუზეუმის თანამშრომლებს და სკოლის გუნდს, ყველა მონაწილეს ამ საამაობისათვის.

კონცერტის შემდეგ გავესაუბრეთ ხალხური სიმღერის პედაგოგს გელა გველუკაშვილს:

- ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი კონცერტითაც და იმ შედეგითაც, რაც მესამე ეროვნულ კონკურსში მოვიპოვეთ. ერთდროულად - ორი ოქროს, პლუს ბრინჯაოს, და ლაურიატის ნოდების მიჩვენება თითქმის უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს მთელი ჩვენი გუნდის- პედაგოგების და მოსწავლეების მონდომებისა და დიდი შრომის შედეგია.



სპეციალური სიგელები გადაეცათ ლოტბარს გელა გველუკაშვილს და პედაგოგს მარინა მგელიაშვილს. თავის დროზე ეს სკოლა ა(ა)იპ-ის სახით რომ ჩამოყალიბებულიყო, ძალიან მინდოდა, რადგან კულტურის განყოფილების ან სახელმწიფო სკოლის დაქვემდებარებაში მას ისეთი დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ ექნებოდა, როგორც დღეს აქვს. ხალხური სიმღერა და გალობა კი სულ სხვა სპეციფიკაა, სხვა ფენომენია. მას ცოდნა და დიდი რუტინა სჭირდება. ამასთან, ფიქრობდი, რომ ხელს შეუწყობს, დამკვიდრდეს ის ტრადიციაში ჩვენი რაიონისათვის. მართალია, გვექონდა წარსულში საკმაოდ ძლიერი არბოშიკის ხალხური სიმღერის გუნდი, შემდეგ ჩამოყალიბდა ვაჟთა გუნდი „ხორანაბუჯი“, რომელიც მრავალი ფესტივალის ლაურიატია, საზღვარგარეთ გამართული არაერთი ტრიუმფალური გასტროლის ავტორი გახლავთ, წარმატებულია ვაჟების და გოგონების ანსამბლები, ტრიო „დები ლოლაშვილები“ და „დები ყოჩიაშვილები“ დალი ელისაშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ ის საუკუნოვანი ტრადიცია, როგორც ზოგიერთ სხვა რაიონს აქვს, ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ ახლა ვიდგამთ ფეხს და ამ საქმეში დიდი როლი სწორედ ამ სკოლას აქვს. ჯერ ერთი, ამ სკოლაში უმაღლესი გიორგი მთაწმიდელის სახელობის ქართული გალობის უნივერსიტეტისთვის აბიტურიენტები მზადდებიან და, შემდგომში, უმაღლესი განათლების მქონე ლოტბარები და პედაგოგები გააძლიერებენ და გაავრცობენ ამ საქმიანობას და, ამასთან, მოზარდობაში ჩამოყალიბებული სიყვარული ეროვნული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება მათ. ეს, თავისთავად, დიდი საქმეა. მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს დეპუტატს, მაშინდელ გუბერნატორს ირაკლი შილაშვილს, გამგებელს ნიკოლოზ ჯანაშვილს, რომლებმაც იმდენად მნიშვნელოვნად ჩათვალეს, რომ ა(ა)იპ-ების გახსნის შეზღუდვებისა და თითქმის აკრძალვების ფონზე, მათ მაინც

### რა პროგრამით წარსდებიან კონკურსზე, ასეთი ფურორი რომ მოახდინეთ?

- ოქროს მედალები აიღეს უფროსკლასელების შემდეგმა შემადგენლობამ: ბანანა ალუიშვილის, დავით ვარდშილის, ლევან ბენაშვილის, გიორგი ჩიბუხაშვილის, ლევან თარხნიშვილის, გიორგი ჯალაღაშვილის, გიორგი ნერეთელის და მალხაზ უძილაურის შემადგენლობით, რომლებმაც შესარულეს ხალხური სიმღერები „სალამურო“ (ანდრო სიმეშვილის ვარიანტი) და „გუმინი შვიდნი გურჯაანელი“, იგალობეს „ჯვარსა შენსა“ და „რა ჟამს შთახედ“, თუმცა, პირველ რიგში ფასდებოდა შესრულების დონე და ხარისხი, რასაც ჩვენმა ბიჭებმა, დიდებმაც და პატარებმაც, წარმატებით გაართვეს თავი და კონკურსის უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურეს. საერთოდ, ჩვენს რეპერტუარში 30-ზე მეტი სიმღერა და გალობა შედის. ზოგადად, საფუნდო სიმღერისას მონაწილენი განიცდიან ისეთ გრძობას, რომელიც შეიძლება შეეადართო ბრძოლაში გამარჯვების სიხარულს. აქ პიროვნების შინაგანი „მე“ დაკმაყოფილებულია, რადგან ყველა ერთი როლი აქვს. ასე არიან ჩვენი მონაწილენიც, თითოეული მათგანის ძალისხმევა დევს ამ გამარჯვებაში. მინდა გითხრა, ფსიქოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ გუნდში სიმღერა დადებითად აისახება პიროვნულ თვისებებზე: ზრდის პოზიტიურობას და შემოქმედებისკენ სწრაფვას, უშეზღუდვებდათ ჯანმრთელობა, ენარება მეტსიერების, მეტყველების, ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში, უფიქრობებათ გუნდური მუშაობის, თავდაჯერებულობის, მიზანდასახულობის, თვითშეფასების და თვითკრიტიკის ჩვევები და, როგორც არ უნდა გავიკვირდეთ, ხელს უწყობს დანაშაულობაში შემცირებას და აუშვობებს ოჯახურ ურთიერთობებს. ეს ფსიქოლოგების მიერ დადებული ანალიზი, მე კი პრაქტიკულად ვადასტურებ, რომ ეს, მართლაც, ასეა. ამიტომ მინდა, უფრო მეტი მოზარდი ჩაერთოს,

მითუმეტეს, რომ ამ სკოლაში სწავლა უფასოა და ყველას ეძლევა საშუალება, ისარგებლოს ამ სიკეთით. რაც შეეხება მას, თუ რა შედეგი მოგვიტანა ამ გამარჯვებამ, გეტყვით, რომ მინვეული ვართ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე ბულგარეთში. ჩვენს ანსამბლს შეუძლია იმღეროს როგორც სრული შემადგენლობით, ასევე მინიმალურითაც, მაგრამ ერთნაირი სისრულით წარმოაჩინოს ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის სიდიადე. ჩვენ რაიონის ხელმძღვანელობის ფინანსურ მხარდაჭერას ველოდებით. ეს იქნება ამ ბავშვებისთვის გაკეთებული დიდი დახმარება დაფასებისა და შემდგომი მოცდილების მიღების თვალსაზრისით.

ძვირფასო მკითხველო, მე, როგორც ერთი დედოფლისწყოფილი, მიმდის გამოვთქვამ, რომ, როგორც არაერთგზის, ახლაც რაიონის ხელმძღვანელობა მხარში დაუდგება სკოლას, რათა არ დარჩეს ის ამ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალის მიღმა, რადგან მნამს და მჯერა, რომ ისინი ღირსეულად გამოვლენ და ასახელებენ ჩვენს რაიონსაც და ქვეყანასაც.

წერილის ბოლოს კი მინდა, ვინც იცის, შევახსენო და ვინც არ იცის, გავაცნო სკოლის ლოტბარის გელა გველუკაშვილის მიერ განვლილი გზა მუსიკალურ ასპექტში, რადგან სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რასაც ამ სამი წლის განმავლობაში სკოლამ მიაღწია: იგი დედოფლისწყოფილი დაიბადა, გაიზარდა და, როგორც სპეციალისტი, უკან დაუბრუნდა რაიონს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის ეკონომიკურ განვითარებაში. ძირითადი საქმიანობის პარალელურად ის ყოველთვის იყო დაკავშირებული კულტურულ ცხოვრებასთან. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, მეხუთე კლასიდან დაწყებული ზედიზედ სამი წლის განმავლობაში მოიპოვა რესპუბლიკური ფესტივალის ლაურიატის ნოდება და ოქროს მედალი კომპოზიციებში სალამურის და ფუნდურის თანხლებით. მას პარტნიორობას უწევდნენ ცირა ლაპიაშვილი, დღეს ექიმი-ფტიზიატრი და ვაჟა გურამიშვილი. ეს იყო დიდი სტიმული და პირველი შეგრძნება გამარჯვების სიამოვნებისა და სიამაყის, რომელიც შემდგომში მრავალჯერ განიცადა ბატონმა გელამ. სკოლის შემდეგ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლი „მთაწმინდა“, რომელთან ერთადაც მან გასტროლოებით მოიარა მრავალი ქვეყანა. 1978 წლის ნოემბერში უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების გამოცემის გაზეთ „სამშობლოს“ ჟურნალისტი კირა კვიციანი ანსამბლს „მთაწმინდას“ ასე ახასიათებს: **სახელი** - „მთაწმინდა“, **ასაკი** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოლი, **სამოგზაურო რუკა** - ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა მიმე რესპუბლიკა, მრავალი ქალაქი, რაიონი, საუკუნის მშენებლობა და საზღვარგარეთი - ფინეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, იუგოსლავია, ნორვეგია... **მიზანი** - ქართული ხალხური მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საგანძურის საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაცია. **მისია** - მშვიდობის, მეგობრობის დესანობა, ძმობის კონტაქტები, **წოდება** - მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადების მრავალგზის ლაურიატი“. ამით ბევრი რამ არის ნათქვამი. აღფრთოვანებული რეცენზიების გამომხატველი არაერთი გაზეთი და ჟურნალი ინახება მის არქივში. გთავაზობთ ამონარიდს ნორვეგიული გაზეთიდან „რუგალანს ავისი“: „მთაწმინდის“ კონცერტი ძმობის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა, ხუთათასამაყურებლიანი დარბაზის სიხარული აუნერელი იყო. ეს იყო ბრწყინვალე, აღმზუნველი და კოლორიტული წარმოდგენა, შესვენდა მომავალდებულ, დღემდე უცნობ კულტურასთან; პირდაპირ მოხიბლა ნორვეგიელები ქართული მუსიკალური ინსტრუმენტის სალამურის ვირტუოზული დაკვირვით უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა გელა გველუკაშვილმა“. უნივერსიტეტის ანსამბლში მონაწილეობის პარალელურად იგი მღეროდა სახელმწიფო (გაგრძელება გვ.)



# კახეთში საყოფასსოვრო ნარჩენების დახარისხება, გადაამუშავება და სასუქად გამოყენება მოხდება

**რამდენიმე წლის წინ დედოფლისწყაროში, სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი ნაგვის მთები და ბუჩქებზე გაბნეული ცელოფნის პარკები ერთიანად დასუფთავდა და იქვე არსებულ კარიერში თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელი ამოქმედდა. ქვეყანაში მყარი ნარჩენების მართვის სახელმწიფო კომპანია შეიქმნა, რომელსაც ამ სფეროს თანამედროვე სტანდარტებით განვითარება დაევა. გარემოზე ზიანის შესამცირებლად ბოლო ხანს კომპანიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. გარდა ამისა, ირკვევა, რომ გერმანიის დახმარებით საქართველოს ორ რეგიონში ნარჩენების სეპარაცია და გადამამუშავება მოხდება, რაც ამჟამად არ ხორციელდება.**

კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებისთვის, ნარჩენების ინტეგრირებული მართვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ანგარიშის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.

შეხვედრას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ირაკლი მატყავა, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი, გიორგი შუხოშვილი, გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) პროექტის კონსულტანტი და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

KfW გერმანიის განვითარების ბანკი საქართველოს მთავრობას ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებაში ეხმარება. მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები პროექტისთვის „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა“ (ISWM) კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, ასევე რესურსების აღდგენისა და ნარჩენების ვალორიზაციის საკითხებს.

პროექტი ითვალისწინებს ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მონტაჟს კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებისთვის და არსებული ნაგავსაყრელების სტანდარტების შესაბამისად დახურვას.

პროექტის პარტნიორია საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG).

ახლახან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაფართოებულ შეხვედრას კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ. სამუშაო სხდომაზე დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილიც იმყოფებოდა. ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას პროექტის უნიკალურობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ კახეთის რეგიონი მყარი ნარჩენების მართვის ცივილურ ფორმებზე გადადის და ნაგვის გადამამუშავებას მოახდენს.

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი:** „გერმანული მხარის ჩართულობით უპრეცედენტო პროექტი მიმდინარეობს. კონკრეტულად KfW-ს მონაწილეობით ჩვენი ქვეყანა გადავა მყარი ნარჩენების ევროპულ მოდელზე. ეს პროექტი საქართველოს ორ რეგიონში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში მომავალი წლიდან დაიწყება და 2019 წელს კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ევროპული მოდელი გულისხმობს ადგილზე სეპარაციას. ანუ, ვინც ევროპის ქვეყნებში ნაშთებს, ნახავდა, რომ განვითარებულ ქალაქებში ერთდროულად რამდენიმე ნაგვის ურნა დგას. ანუ ნარჩენები დახარისხებულია: ცალკე ყრიან შუშის ქილებს, ცალკე პლასტმასის და ცალკე ქაღალდის ნივთებსა, თუ სხვა ნარჩენებს. შემდეგ კი ხდება ამ ნარჩენების გადამამუშავება, რათა შემცირდეს გარემოზე მავნე ზემოქმედების მაჩვენებელი.“

**რა ნაბიჯებს დგამს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი დასუფთავების თვალსაზრისით?**

ამჟამად დედოფლისწყაროში, სამრეკლოსა და ხორნაბუჯში ასე თუ ისე მოგვარებული გვაქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საკითხი. მართვის სისტემის გაუმჯობესებისთვის ბოლო წლებში არაერთი ნაბიჯი გადავდგით. წლის დასაწყისში ორი ახალი, თანამედროვე ტიპის ნაგავში ავტომანქანა და 100 ერთეული ახალი ურნა შევიძინეთ, რამაც საშუალება მოგვცა, რომ უკვე სოფლებზეც გვეზრუნა და მომორებით მდებარე დასახლებების სისუფთავეზეც გვეფიქრა. მაგალითად, დღეს რომ ჩავიღებთ ქედების ზონაში, ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში



განთავსებულია ურნები და რამდენიმე თვეა ცივილურ ფორმებში ხდება ნარჩენების გატანა და ცენტრალურ ნაგავსაყრელზე დაკონსერვება. გარდა ამისა, მარხანის მხარეს, იქით მდებარე სოფლებში, სადაც მანამდე მანქანა დადიოდა, მოსახლეობა ღია წესით აგროვებდა და თვეში ორჯერ დასუფთავების სამსახურის ავტომანქანა მის გატანას ახდენდა. იქაც ურნები განვითავსეთ. ახალი პროექტი კი ითვალისწინებს იმას, რომ ურნების არეალი გაიზრდება და თითო ნერტილში რამდენიმე ურნა იქნება, რათა ადგილზე მოხდეს დახარისხება და ისე გატანა.

**ცენტრალური ნაგავსაყრელი და გადამამუშავებელი ქარხანა რომელ მუნიციპალიტეტში გაიხსნება?**

ამ პროექტის მთავარი არსი ისაა, რომ კახეთში შეიქმნება ერთი ცენტრალური ნერტილი, რომელიც ნაგვის გადამამუშავებას მოახდენს. წინასწარი ინფორმაციით, ასეთი ადგილი იქნება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სადაც სოფელ მელაანში გაკეთდება ერთი ცენტრალური ნაგავსაყრელი. მელაანშივე იქნება გადამამუშავებელი ქარხანა. იქ ორგანული ნარჩენის კომპოსტირება მოხდება და შესაძლებლობა გვექნება ნაგვის გადა-

მუშავების შედეგად სასუქი მივიღოთ და გამოვიყენოთ. მელაანის ნაგავსაყრელზე მოხდება კახეთის ყველა რაიონიდან ნარჩენების თავმოყრა-გადამამუშავება. ყველა-ნაირად მნიშვნელოვანი პროექტი იწყება, ეს სისტემა აპრობირებულია ბევრ განვითარებულ ქვეყანაში და ნარჩენებით ხორციელდება. ამიტომ, ძალიან მიხარია, რომ კახეთი იმ ორ რეგიონს შორის მოხვდა, სადაც საწყის ეტაპზევე განხორციელდება ეს სიკეთე. ეს იმას ნიშნავს, რომ სამეგრელო და კახეთი, სხვა რეგიონებთან შედარებით, საკმაოდ წინ იქნება. სამომავლოდ ეს სისტემა, ალბათ, სხვა რეგიონებშიც გავრცელდება და დროთა განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით მოვხერხებთ ცივილური ფორმებით ნარჩენების მართვას. პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დამამთავრებულ სტადიაშია და სწორედ ამიტომ შედგა სამინისტროში საქმიანი შეხვედრა. სტუმრები ჩამოსული იყვნენ გერმანიიდან, აგრეთვე KfW-ს წარმომადგენლები, ესწრებოდნენ საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის ხელმძღვანელები. მაღალი დონის შეხვედრა შედგა, მთელი დღის განმავლობაში ამ საკითხების განხილვა-დაზუსტება მიმდინარეობდა.

**პრემიერმა ტურისტული სეზონის დადგომამდე რეგიონებს მოუწოდა, განსაკუთრებით იზრუნონ როგორც ქუჩების სისუფთავეზე, ისე მინდვრად, ცენტრალური გზების მიმდებარე ტერიტორიებიდან ნაგვის დროულად გატანაზე, რადგან ტურისტებს დაბინძურებული გარემო არ დაეახვედროთ...**

გეთანხმებით და მინდა გითხრათ, რომ ამ კუთხით დედოფლისწყაროში საკმაოდ კარგი ვითარება გვაქვს და ვიცი, რომ გუბერნიაც კმაყოფილია ჩვენი მუშაობით. ამ მხრივაც ვატარებთ აქტიურ მუშაობას. გარდა ამისა, ყველა რაიონში, არაერთ ადგილას დაიდგა ბანერები, რომელიც მოქალაქეებს მოუწოდებს დაცვან სისუფთავე და არ დაანაგვიანონ გარემო.

ილია მარტყოფლიშვილი



## ბავშვები-ბარემოს დამსვენებლები

**პროექტი ხორციელდება „ქალთა ფონდი საქართველოს“ დაფინანსებით**

„დედოფლისწყაროს ქალების“ პროექტის „ქალები სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში (აფინანსებს „ქალთა ფონდი საქართველო“), ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლაში გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ნახატები. ზოგიერთი ნორჩი მონაწილის ნახატი აღფრთოვანებაში მოიყვანდა მხატვლესკლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგი, რომელიც ერთნაირად უარყოფითად აისახება ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე, იმ სამყაროზე, რომელშიც ვცხოვრობთ. „მისასალმებელია, რომ ამდენი ბავშვი ჩაერთო პროექტში, მათ იფიქრეს იმაზე, თუ რა ზიანი მოაქვს ადამიანის მიერ ბუნების მომხმარებლურ დამოკიდებულებას, როგორ ზემოქმედებ-

ს ეს პროცესები ჩვენს კლიმატზე და როგორ ვრჩებით იმ სიკეთის გარეშე, რომლის მოცემაც ბუნებას შეუძლია... მომავალი თაობა პატივს აცხადებს უნდა მიეჩვიოს გარემოზე ზრუნვას. კარგია, რომ პროექტმა ეს მისია შეასრულა“-ასეთი იყო იმ ადამიანების აზრი, რომლებიც საექსპოზიციო დარბაზში ნამუშევრებს გაეცნენ.

გამოფენას ესტუმრნენ და ნამუშევრები დაათვალიერეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა. მათ ბავშვებს 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და ნინოების ბრწყინვალე დღე-სასწაული მიულოცეს. გარემოს დაცვის თემაზე შესრულებულ ნამუშევრებიდან

გამოვლინდა საუკეთესო ნახატები, პირველ სამ ადგილზე ადგილზე გასულმა მოსწავლეებმა საჩუქრად მიიღეს სიგე-

ლები და გადაეცათ სამხსოვრო საჩუქრები-ნიგნები „ვეფხისტყაოსანი“, „ილია ჭავჭავაძე“ და „თამარ მეფე“.





# ისტორიული ცნობები მიწზეაანის შესახებ

სოფელი არბოშიკის შემდეგ, ორიოდ დღეში, ჩვენი რაიონის კიდევ ერთი ისტორიულ და მეტად საამაყო სოფელზე ჩატარებული კვლევა წარმოგვიდგინა მუზეუმის თანამშრომელმა ქალბატონმა ნინო პოპიაშვილმა. ვინაიდან მიწზეაანი რაიონის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია და ამასთან ის დიდი ნიკო ფიროსმანის სამშობლოა, ამ ღონისძიებას ფართო წარმომადგენლობა ესწრებოდა. თავის მხრივ ძალიან საინტერესოდ და ოსტატურად შეგვიყოლია თემის ირგვლივ ქალბატონმა ნინომ.

სოფელი მიწზეაანი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს, ის ზღვის დონიდან 770 მეტრზეა განლაგებული და დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოდან 22 კილომეტრითაა დაშორებული. მიწზეაანი ქიზიყის სოფლებს შორის ერთ-ერთი ულამაზესია, რომელიც ცივგომბორის კალთებზეა შეფენილი, აღმოსავლეთით იშლება ალაზნის ველი, ხოლო მოშორებით თავს იწონებს კავკასიონის მთაგრეხილი. სამხრეთით ადამიანის თვალს იტაცებს შირაქის გზა, დასავლეთით მიწზეაანს ზემოდან ქვემო მაწანაი ესაზღვრება. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიწზეაანის გორეში გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული, აქ ასწლოვანი მუხა, ივანი, აკაკი, თელა იწონებდნენ თავს. სოფლის წარმოშობის შესახებ მრავალი ლეგენდა და თქმულება არსებობს. ამ სოფლის ზოგიერთი მცხოვრები ირწმუნება, თითქოს მიწზეაანი თათართან მიწზეაანს დააარსა. უცნაურია, დამკვირვებელი როდის იყო სოფლებს აშენებდა, მაგრამ თვით სიტყვის ძირი კი სინამდვილეში უცხო წარმოშობისაა. უცხო სიტყვათა ლექსიკონში ერთხელ ვხვდებით: მიწზეა საპარსული სიტყვაა, ირანში სამეფო სახლის წევრობის ტიტული, ირანში უმაღლესი მოხელის, ან მეცნიერის საპატიო სახელი, მდივანი, მწერალი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გვიან ფეოდალურ საქართველოში იყო აგრეთვე „მიწზეა“ თანამდებობა, ძველ საქართველოში „მიწზეა“ საკუთარ სახელადაც ქვეყლა, საიდანაც მივიღეთ გვარი მიწზეაშვილი. მიწზეაანში დღეს მიწზეაშვილები არ ცხოვრობენ, მა-

გრამ მეზობელ სოფელ ოზაანში დღესაც სახლობენ ოზააშვილები, „კოტაანში“ კოტაშვილები. მოსახლეობა სოფელს ორად ჰყოფდა- ზემო და ქვემო მიწზეაანად. ფიროსმანაშვილებს ოდითგანვე ქვემო მიწზეაანში, ე.წ. ხოკიანთ გორის ირგვლივ უცხოვრიათ. 1922 წელს ამ უბანში 40-50 კომლი ფიროსმანაშვილები ცხოვრობდნენ, ამჟამად კი 7 მოსახლეა, დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში არიან გაბნეულნი. ამ სოფელში სახლობენ ალუღიშვილები, ბიკაშვილები, გონაშვილები, გომელაურები, ლაპიაშვილები, ხარაშვილები, პოპიაშვილები, თარაშვილები და სხვა.

გონაშვილების გვარის 860 მაცხოვრებელიდან დედოფლისწყაროში ცხოვრობს 452 ადამიანი, თბილისში 23, რუსთავეში 54, მაგრამ ეს მხოლოდ სტატისტიკაა, თვით ფუტე ამ გვარისა ნიშნავს გონიერს. ნიშანდობლივია, რომ გონაშვილების და ფიროსმანაშვილების გვარი, ორივე მიწზეაანიდან მოდის, ოდითგან ერთი ღობე ჰყოფდა ამ გვარის წინაპრებს. ორივე გვარი სოფელ მიწზეაანში წურავდა საღვთო ღვინოს, ანუ სახედაშო ღვინოს. აქ არის გვერდიგვერდ ფიროსმანაშვილებისა და გონაშვილების ზედაშენი. გონაშვილების გვარი შემდეგ სამ შტოდ გაიყო, თანაარაანები, მახარაანები და ჭიპ-ჭიანები. დიდი გვარი ყოფილა ფიროსმანაშვილები. ნიკო ფიროსმანაშვილი ხოკიანების შტოს წარმომადგენელი ყოფილა. როგორც ხოკიანთ ვანოს (წყალწყალას) უფროსი ვაჟი გვიხსნის „ხოკიანი“ ღარიბის, უქონელს, გახოკილს ნიშნავს და აკი სიღარიბე იყო ნიკალას ცხოვრების თანმდევი.

უხედავ მოუძიებია ქალბატონ ნინოს მიწზეაანის გამოჩენილ ადამიანთა შესახებ ცნობები, რომელიც საკმაოდ საინტერესო მოსასმენი გახლდათ. სოფელ მიწზეაანის საამაყო შვილი გახლდათ ნიკოლოზ გომელაური, იგი იყო ქართველი მეცნიერი, მეტალურგი, პროფესორი, რუსთავეის მე-

ტალურგოელი ქარხნის დირექტორი, იყო მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი. მისი ძირითადი შრომები ეხება სპილენძმშობილებდენის მადნების სელექციური ფლოტაციისა და კომპლექსური გამოყენების საკითხებს. ცნობილი მიწზეაანელებიდან გამორჩეულია ნიკო ფიროსმანაშვილის, ქართველი გენიოსი მხატვრის როლი ამ სოფლის ისტორიაში. დაიბადა 1862 წელს გლეხის ოჯახში, სამხატვრო განათლება არ მიუღია, მაგრამ მისი 2000-მდე ნამუშევარი საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებშია გაბნეული და მის გენიალურობას დღემდე აღაფრთოვანებს.



დე ვერ ხსნიან სპეციალისტები. განუმეორებელია ჰამლეტ გონაშვილი(1928-1985) ქართველი მომღერალი, „საქართველოს ბულბულად“ აღიარებული. იგი 25 წლის უკვე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი იყო. სიცოცხლის ბოლომდე იყო ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. მიწზეაანის საამაყო შვილია შორის გამოჩენილი მარინე თარიშვილი. იგი იყო მხატვარი, მის ნაწარმოებებს ნახვით არა მარტო თბილისის და მოსკოვის, არამედ ხარკოვის, კიევის, რიგის, ვარშავის, მენრელის საგამოყენო დარბაზებში. მიწზეაანის შვილი გახლდათ ნინო თარიშვილი, ქართველი პოეტი ქალი, დაიბადა მიწზეაან-

ში, იყო ცისფერყანწელთა მეგობარი და მესაიდუმლე, ეწოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, მისი მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესების სფერო გახლდათ ფრანგული ენა და ლიტერატურა, პედაგოგიკა, ქართული კლასიციზმი, ფსიქოლოგია და სხვა. მიწზეაანს ჰყავდა თამარ ლაპიაშვილი, ქართველი საოპერო მომღერალი. 1931 წელს ჩარიცხა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სტუდენტობის წლებშივე მიიპყრო მუსიკალური საზოგადოების ყურადღება, ძლიერი ლამაზი ხმით და მუსიკალურობით. მისით დაინტერესდნენ ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი, რომლებიც საკუთარ ნაწარმოებებს თავადვე ასწავლიდნენ ახალგაზრდა მომღერალს. 1938 წელს ლენინგრადში ჩატარდა ქართული კულტურის დღეები, სადაც თამარ ლაპიაშვილმა წარმატებით შეასრულა ეთერის, ლატავრას და მაროს პარტიები. გამორჩეულია ფარნაოზ ლაპიაშვილის როლი მიწზეაანის ცნობილი ადამიანებიდან, იგი გახლდათ სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, დაიბადა მიწზეაანში. ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მეგობრობისა და თანამოაზრეობის გამო შეენირა 20-იანი წლების რეპრესიებს.

ნინო პოპიაშვილის მიერ სოფელ მიწზეაანზე წარმოდგენილი მასალის პარალელურად დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა გურამ გოგაშვილის მუსიკალური ნაწარმოებები ვიოლინოზე შესრულებით, მანვე ნაიკითა ანა კლანადაძის ლექსი „ასპინძის მიდის მეფე ერეკლე“. სოფელ მიწზეაანის მასალის წარმოდგენაზე მუზეუმში მოწვეული სტუმრები გახლდნენ.- მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ნანა ლაპიაშვილი, ანა ბენაშვილი და ანა გონაშვილი, რომელთა წინაპრები წარმოშობით მიწზეაანიდან ყოფილან.

ლალი მისრიშვილი

## რომ გავიზრდები, ამოვალ შენთან და გავპოვებ გულსაღივანს!

ძნელია, თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოება განათლების გარეშე წარმოვიდგინოთ. ვიცით, რომ „ცოდნა-ძალა“ და ამ ძალას მოკლებული ადამიანი უძლიერი იქნება, ადგილი იპოვოს წინააღმდეგობებით აღსავსე XXI საუკუნეში. გარდა იმისა, რომ განათლება ადამიანის სოციალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, ემილი დიურკემის მიხედვით, განათლების მთავარი ფუნქცია დომინანტი კულტურის ღირებულებების გადაცემაა, მაგრამ იმის გამო, რომ განსხვავებულ საზოგადოებაში კულტურული მიზნები და ღირებულებები განსხვავდება ერთმანეთისაგან, განათლების მნიშვნელობა განსხვავებულია. მაგალითად, შუა საუკუნეებში, ევროპაში, მთავარი ყურადღება ქრისტიანულ სწავლებას ეთმობოდა, რენესანსის ეპოქა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი გაზრდილი ინტერესით გამოირჩეოდა. დღეს განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ადამიანის სოციალიზაციის გარდა კულტურული ღირებულებების შენარჩუნება, ინფორმაციისა და ცალკეულ გამოცდილებათა თავმოყრა. არაგისთვის იქნება უცხო, თუ ვიტყვი, რომ განათლებას ყველაზე ხშირად სკოლასთან აიგივებენ. სკოლა ისეთ ინსტიტუტად განიხილება, სადაც ხდება პიროვნების ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, განათლების საგანი სწავლა და სასწავლო დაწესებულებებია. თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე და მის სწორად ფორმირებაზე განათლება, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდები, როდესაც სოფელ სამრეკლოში დაწყებითი ეტაპის მოსწავლეების დასკვნით ღონისძიებას დავესწარი.

დამოკიდებულება შვილების აღზრდის საქმეში, პედაგოგთა გულიანი, მუხლჩაუხრელი შრომა-საქმიანობა ბავშვებთან და მოსწავლეებთან სწორი ქცევა. ამჟღერადაც, ისე, როგორც ყოველთვის, ამაღლებული ღონისძიება წარმოგვიდგინეს პედაგოგ მაია ნასრაშვილის მეოთხეკლასელმა მოსწავლეებმა. მათ თავდაპირველად მართლაც ზღაპრულ სამყაროში გადავიხროლეს, გავმოგზაურეს ანგელოზების საუფლოში, ღრუბლებში და თავისი ლამაზი, გამართული ქართული მოგვიტოვრეს, თუ როგორები უნდა ჩამოვლიდნენ ადამიანები იმისთვის, რომ სრულყოფილებას მიაღწიონ, მათ ანგელოზის ენით ისაუ-



ბრეს სამშობლოსთვის თავგანწირვაზე, ცოდნის აუცილებლობაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, სათნოებზე. ეს იყო მართლაც კარგად დადგმული, დეკორაციებით გაფორმებული სპექტაკლი, სადაც ყვეოლები, ღრუბლები და ნარცისები კვირტებს შლიდნენ და საუბრობდნენ. ღონისძიება მიჰყავდა ნატალია ბაცა-ცაშვილს, ნანიკო ნატროშვილს და ანი მაზანაშვილს, რომლებიც ანგელოზის ფრთებით გამოგვეცხადნენ და გადმოგვცეს. „ახლა დამეა, ჩვენი პატარა ციხე-სიმაგრის ყველა შეიარაღებულ მეომარს სძინავს, სძინავთ ჩვენს და-ძმებს, დედაჩემსაც დაეძინა, ჩვენ კი, პატარა დედები სიზმრის ქვეყნიდან ნეტავ რას ვეძებთ?“- ამბობს ნატალია ბაცაშვილი.

და აი, რას ეძებდნენ. მინდა, მცირედით მაინც გაგაცნოთ სამრეკლოელი მეოთხეკლასელების ცხოვრების არსი და მათი გავებით სათუთად სატარებელი გრძნობები: სამშობლოს, მასწავლებლის, მეგობრის სიყვარული და ბავშვობის ტკბილი წლების წარუშლელიობა.

„თუ კაცს ჭეშმარიტი მეგობარი ჰყავს, შეუძლია მშვიდად განისვენოს. მისი საქმე მის მერეც გაგრძელდება. ისე, თითქოს კაცს ორი ცხოვრება ჰქონდეს!“- ამბობს ანი მაზანაშვილი.

„საქართველო-ოქროსი საწმისის ქვეყანაა, ძველი მითებისა და ლეგენდების ქვეყანაა. მისი ზღვისპირეთი, დათოვლილი მთებით, სითბოთი და სიუხვით ჭეშმარიტად მინიერი სამოთხეა, უფლის კურთხეული უბანი დედამინისა,“-ამბობს იზა აიდარაშვილი.

„მასწავლებლო, თქვენ ქვეთ ნაშენები ეს ჩემი სკოლა სულიერად ააშენეთ და აალორძინეთ, თქვენმა თავდაუზოგავმა შემართებამ მოიცვა მისი უბრალო დერეფნები და სადა საკლასო ოთახები, თქვენი გული დედაბოძად შეუდგა სკოლის შენობას და მდიდრული სკოლების მოოქროვილ სვეტებზე უფრო ძლიერი საყრდენი და ჭეშმარიტი განძი გახდა ჩემი სკოლისთვის,“-ამბობს ნანიკო ნატროშვილი.

„ცოდნას უნდა დაენაფო არა პაექრობის, არა სხვათა დამცირების, არა მოგების, დიდების, ძალაუფლების ან სხვა რამ მიზნისთვის, არამედ იმისთვის, რომ ცხოვრებაში ხალხს სარგებლობა მოუტანო,“-ამბობდა ნინო ლორაშვილი.

„იყო ოთხი ყვითელი შემოდგომა და შემოდგომაზე ფრინველების ნასვლით დარჩენილი სევდა. ჯერ მერცხლებს გა-

მოვიგლოვებდით, მერცხლებს მიჰყვებოდნენ ბოლოცეცხლები, გულყვითელები, გუთნისჩიტები და ჩვენთვის აუხსნელ სევდას გვიტოვებდნენ. მერე მოვიღოდა ზამთარი, შეეშინდებოდა და დანაწილდებოდა ნაკადულებად. გარბოდა, მინაში იშლებოდა. მინიდან კი, გაზაფხული ამოდიოდა ენძელებად, ივებად, ყოჩივარდებად, თეთრად ავეთქებულ ტყემლებად და ისევ ისე ბავშვების ყრიაშულად. და ისევ, თითქოს იყო და არა იყო რა...“-ამბობდნენ ანი ბოსტოლანაშვილი, ანამარია ბაგდასაროვი, გიგა ლეკაშვილი, ნიკა მაისურაძე.

შეუძლებელია, ეს ყველაფერი მოისმინო და არ გაგახსენდეს ბავშვობა, ყველაზე ლამაზი და უდარდელი ხანა, და ამ მოგონებებმა ცრემლი არ მოგგვაროს, რადგან პატარების ასეთი ღონისძიებები ყველაზე უკეთ გვახვედრებენ, თუ როგორ გარბის დრო, როგორ იხურება ცხოვრების ერთი ეტაპი და როგორ იღება მეორე- დიდი სირთულეების კარი და ის ნინა ცხოვრება, მომხიბვლელი, ლამაზი, წარუშლელი, მხოლოდ მოგონებებში რჩება.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებს გამოემშვიდობა მათი დაწყებითი კლასის პედაგოგი მაია ნასრაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ბავშვებს იმ ორწლიანი ურთიერთობისთვის, რაც მათ ერთად გაატარეს და დაულოცა მომავლის გზები. სცენაზე მოიხვიეს ასევე ამ ბავშვების პირველ-მეორე კლასებში მათი პედაგოგი ნანა სულაშვილი-ნატროშვილისა, რომელმაც ცრემლიანი თვალებით მიულოცა დაწყებითი ეტაპის დასრულება მეოთხეკლასელებს და გამოთქვა აზრი, რომ მათგან უფრო მეტს მოეღოს და დიდი მოლოდინებით იქნება განმსჭვალული.

ღონისძიებას მშობლები, პედაგოგები, დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი და მისი თანამემწე მარინე ჯორკოშვილი ესწრებოდნენ.

ლალი მისრიშვილი



# საუკუნის მკვლევარა

## „წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეზოქა გათავდა დიდი...“

წინამურიდან საგურამომდე გზა საოცრად სისხლიანი და სევდიანია... აქ საქართველოს უგვირგვინო მეფე სიცოცხლეს ვერაგულად გამოასალმეს. ილია ჭავჭავაძისთვის ნასროლი ტყვიით მაშინ იმ რეჟიმმა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა მოკლა, ინტელიგენციის ის ნაწილი შეაშინა და დაადუმა, რომლებიც ამ იდეის გარშემო იყვნენ გაერთიანებული... მანამდე კი იყო დიდი გზა, გზა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც ილიას თაოსნობითა და მეთაურობით მონიწივე ინტელიგენციის ნაწილმა განვლო.

რეჟისორ გიორგი სავანელის სპექტაკლი „საუკუნის მკვლევარა“, რომელიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დრამატული ვერსიაა, საქართველოს რეგიონებში გასტროლებს ატარებს.

„ეროვნული იმპერატივი“ ინყებს პროექტს „თეატრი-საზოგადოების სოციო-კულტურული საზრისის ამალგებისათვის“, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში კულტურისა და განათლების როლის პრიორიტეტულობის დამკვიდრებას და ხელოვნების ამ მიმართულების პოპულარიზაციას და მისადმი ინტერესის, მოთხოვნილების გაზრდას. პროექტი ითვალისწინებს თეატრალური სპექტაკლების წარმოდგენას იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც არ არის პროფესიული თეატრები და ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებულია, ეზიაროს ხელოვნების ისეთ უნივერსალურ ჟანრს, როგორცაა თეატრი.

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრის დასი საგასტროლო ტურნეს ფარგლებში დედოფლისწყაროს სტუმრობდა. მათი სარეჟერტუარო სპექტაკლი „საუკუნის მკვლევარა“ ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ახალი, დრამატული ვერსიაა, რომელშიც გადაჯაჭვულია ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანა, ქვეყნის წინაშე პიროვნების მოვალეობის თემა და ინდივიდის „რეჟიმთან“ ურთიერთობის დიალექტიკა, ასევე ილია ჭავჭავაძის ცხოვრების კვალდაკვალ, ასახულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ქართველები: ქართული ენის განახლება, საადგილმამულო ბანკი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-

დობა, აღდგენილი ქართული თეატრი, გაზეთი „ივერია“, საქართველოს ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია – გზა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ და გზა 1907-ის სისხლიან 30 აგვისტომდე. პროფესიონალი მსახიობები შესანიშნავად ანსახიერებდნენ როლებს, ხოლო სწორად შერჩეული მუსიკა მეტად დრამატულს ხდიდა სპექტაკლს.

კიდევ ერთხელ იცხოვრა მაყურებელმა ილიას ეპოქაში და მსახიობებთან ერთად გადაიტანა იმ დროის ქართველები. საქართველოს უგვირგვინო მეფის ცხოვრების მთავარი მიზანი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობა და ამისათვის მან პირად კეთილდღეობაზე ახალგაზრდობაშივე თქვა უარი.

„აბჰიშოლნა სიყრმიდანჲ ჩვენი ქართლის ბედმა“ – პოეტის ეს სტრიქონებია მისი მოღვაწეობის იდეა-ფიქსი. საქართველოს თავისუფლებითვის ბრძოლის გზაზე პირველი ნაბიჯი იყო ჟურნალის „საქართველოს მოამბე“ გამოცემა, სადაც შეფარვითა თუ ლიად იბეჭდებოდა ის ნაწარმოებები, რომლებიც ხალხს თავისუფლებისაკენ სწრაფვის სურვილს უღვივებდა. „საქართველოს მოამბის“ გამოცემა იყო სტარტი იმ დიდი მამულიშვილური



საქმეებისა, რომლებიც „თერგდალეულეზმა“ გააკეთეს. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მათ გლეხებზე საადგილმამულო ბანკის ჩამოყალიბებით იზრუნეს და მისცეს საშუალება, მიწა ეყიდათ, რათა საკუთარი შემოსავალი ჰქონოდათ და ნამდვილი თავისუფლება შეეგრძნოთ... თვითონ თავად არ შეუშინდა თავად-აზნაურთა რისხვას და გლეხების უფლებების დამცველს სიმამრთან დაპირისპირებაც მოუხდა. ილია ეპროდა ყალბ და გარყვნილ ელიტებს, მუქთახორა თავადაზნაურობას, გამყიდველ ფსევდოინტელიგენციას, საერთოდ ყველას, ვინც

თავის პირად ინტერესებს და ამბიციებს ხალხის ინტერესებზე მაღლა აყენებდა.

„თერგდალეულთა“ იდეებს როგორც მორალურად, ასევე ფინანსურად მხარს უჭერდა გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი. სწორედ მან მისცა სოლიდური თანხა ქართველ პატრიოტებს საადგილმამულო ბანკის დასაფუძნებლად.

წინდა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მიღმა სპექტაკლი ალგორითულ ხასიათსაც ატარებდა- გერმანელი მწერალი, ეს ევროპაა, რომლისკენაც მუდმივად ისწრაფოდა საქართველო და მის ბედზე მზრუნველი ინტელიგენცია. მის საპირიონედ დგას ცარისტული რეჟიმი-რუსეთი, ქვეყანა, რომელიც ერთმონივნების შირმას ამოფარებული კლავს არა მხოლოდ ქართველი კაცის თავისუფლებას, სწრაფვას, არამედ მის ღირსებასაც.

1905 წელს ილია გამოდის საქართვე-

ლოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით. ის იცავს გლეხებს შავრახმელთა გამოსვლებისგან. ცნობილია, რომ ამ დროს რუსეთში დგებოდა რეაქციული შავრახმული ორგანიზაციები, რომელთაც მთავრობა აიარალებდა და იყენებდა ხალხის სანინაღმდეგოდ. ასეთი „შავი რაზმის“ მოწყობის ცდას ადგილი ჰქონდა საქართველოშიც. ილიამ თავადაზნაურთა ყრილობაზე ლიად გაილაშქრა ამ ბნელი საქმის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, ცარისტულ მთავრობას მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა იგი, როგორც ცარიზმის წინააღმდეგ განწყობილი



განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური მოღვაწე...

1906 წელს ილია ჩავიდა პეტერბურგში სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე, როგორც საქართველოდან გაგზავნილი დელეგატი. ის აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად. ყრილობაზე ის არ შეუშინდა ცარისტული რეჟიმის რისხვას და შეეხო საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობის საკითხს, ილია ასევე გამოვიდა სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით. ეს იყო ის ხანა, 1907 წელი, როდესაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის თარეშის დროს, რუსეთის იმპერიაში და კერძოდ, საქართველოშიც, სახრჩობელები იყო აღმართული ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა დასასჯელად.

ილიას რადიკალურმა პოზიციამ სახელმწიფო საბჭოში გამოიწვია რუსეთის რეაქციული თავადაზნაურული წრეების განსაკუთრებული გულისწყრომა. ამიტომ გადაწყდა ილიას ავტორიტეტის შელახვა, ამისთვის სპეციალურად შეთითხნილი პასკვილები გამოიყენეს, მაგრამ მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწიეს - ილიას მომხრეები მაინც ჰყავდა. მის გასაჩუმებლად ერთადერთი გზა რჩებოდა- მისი ფიზიკური ლიკვიდაცია.

„სადაც ხე იჭრება, იმ ნაფოტაშიც ცვიპა“- ეს ნოე ჟორდანიას სიტყვებია, რომელიც მან სოციალ-დემოკრატების ბრალეულობის გასაფანტავ ნერიოში გამოიყენა ილიას მკვლელობიდან 40 დღის შემდეგ. საგულისხმოა, რომ სპექტაკლში ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სოციალ-დემოკრატების მტკიცებით, „ნაფოტები“-ილია ჭავჭავაძეა, თუმცა დრომ აჩვენა, რომ ილია ხე იყო, რომელიც მოჭრეს... თუმცა, მისი სიკვდილით სამუდამოდ ვერ მოსპეს ქართველ ხალხში ილიას იდეებისადმი სწრაფვა.

წელს აღინიშნება 180 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. მოზარდმაყურებელთა თეატრის ეს სპექტაკლიც ამ თარიღს ეძღვნება. პროექტის მიზანია, მთელმა საქართველომ კიდევ ერთხელ გაიხსენოს და გააცნობიეროს ჭეშმარიტი მამულიშვილის მიერ განვლილი გზა.

ინგა შიოლაშვილი

## გამოფენა მუზეუმში

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უკვე რამდენიმე წელია, ხალხური რენვის წრე ფუნქციონირებს, სადაც ძალიან კარგი ქალბატონი, პედაგოგი და ხელოვნებათმცოდნე მაყვალა ბოჭორიშვილი ემსახურება იმ დიდ საქმეს, რასაც ახალგაზრდა თაობაში რენვის და ხელსაქმის სიყვარული ჰქვია. 31 მაისს, ბავშვთა დაცვის და ნინოების დღესთან დაკავშირებით, მაყვალა ბოჭორიშვილი მუზეუმის თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან ერთად გამართა მონაფენის ნამუშევრების გამოფენა. გამოფენა კომბინირებული გახლდათ, მძივებით დაწყებული, ნახატებით და ნაჭრებით შესრულებული ნამუშევრებით დამთავრებული.

ყველაფერი მართლაც ბავშვებისთვის ხალისიან და მზისფერ ფერებში იყო გადაწყვეტილი, რაც მოწონებას იმსახურებდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ გამგებობის წარმომადგენლები ნაწილი ნატროშვილი, ია ბუნტური და თამარ თამაზაშვილი. ასევე კულტურის ცენტრის თანამშრომლები ნონა ჯობლაშვილის ხელმძღვანელობით. მონაფენმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ქალბატონ მაყვალას ასეთი საინტერესო ნამუშევრების წარმოდგენისთვის, ხოლო მუზეუმის დირექტორს ქალბატონ ლალი გურასაძეს მუზეუმის კვირეულის ასე ლამაზად და საინტერესოდ ჩატარებისთვის.

ლალი მხრიშვილი





# მსწავლეობის ფრანგულ ენას

სულ რამოდენიმე დღის წინ N1 საჯარო სკოლის მეხუთე კლასის გვერდითი ექსკურსიაზე გახლდით ჩვენს დედაქალაქში პედაგოგებთან ინგა ქუფარაშვილთან და ნინო ბეროშვილთან ერთად. შეგახსენებთ, რომ, უკვე სამი წელია, დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში მეორე უცხო ენა(ინგლისური ენის შემდეგ) ფრანგული ენა ისწავლება მესამე კლასიდან, პროგრამა საპილოტოა, მისი მიზანი კი ფრანგული ენის შემსწავლელ მოსწავლეთა ახალი თაობების წარმოქმნის ხელშეწყობაა, იგი ინიცირებულია საქართველოს საფრანგეთის საელჩოსა და განათლების სამინისტროს ერთიანი პროექტის მიხედვით, ასევე სკოლის დირექციის მზადყოფნით, ხელი შეუწყო და განავითაროს ფრანგული ენის სწავლებას მოზარდებში. ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, თუ რა სარგებლობა მოაქვს მოსწავლისთვის რამოდენიმე ენის შესწავლას, ვიტყვი კონკრეტულად, რომ დღევანდელ მსოფლიოში და ევროპისაკენ მიმსწრაფების ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნა საკმარისი არ არის. მეგრად, ამ უდღეს შანსს, რომელიც დღეს ჩვენს შვილებს ხვდა წილად, ხელიდან არ გაუშვებენ ისინი და, შესაძლებლობებისდაგვარად,

დაეუფლებიან. ექსკურსიის მიზანია, რომელიც საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტში განხორციელდა სკოლის დირექტორის-ეთერ ოთარაშვილის და ფრანგული ენის პედაგოგ ნინო ბეროშვილის ერთობლივი ინიციატივით, სწორედ ეს გახლ-

ველო ადგილისგან და მოიცავს თანამედროვე საფრანგეთის ამსახველ აუდიოვიზუალური დოკუმენტების ციფრულ ბაზას, ენის შემსწავლელ ბიბლიოთეკას, რომელიც შეესაბამება ფრანგი მწერლების ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმანებით და

დიათეკაში, ჩვენი ყოფნა კი დაემთხვა საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დაარსებიდან 15 წლისთავის აღნიშვნის სამი დღით ადრე სტუმრობას. მასპინძლები საიუბილეო სამზადისში იყვნენ, თუმცა მედიათეკარ ნინო შუბითიძეს მაინც ძალიან გაუხარდა მოსწავლეთა ვიზიტი და კიდევ ერთი ახალი თაობის დაინტერესება ფრანგული ენის მიმართ. ქ-ნი ნინო მთელი ლექციის მსვლელობისას ცდილობდა, ბავშვების სრული ყურადღება მიეპყრო და დაინტერესება გაეღვივებინა მათში. მან ჯერ დაწვრილებით აუხსნა მოსწავლეებს მედიათეკის მუშაობის პრინციპები, მიიწვია გასაწვრიანებლად, შემდეგ ჩაურთო ფრანგული ანიმაციური ფილმი, კითხვა-პასუხის რეჟიმში

ამომწურავად პასუხობდა ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვებს, ხოლო დასასრულს, წვენიებითა და „კროასანებით“ გაუმასპინძლდა შორი გზიდან ჩასულ მომავალ პატარა „პოლიგლოტებს“ და უამრავი აკადემიური წარმატებები უსურვა მათ არამარტო ფრანგული ენის, სხვა საგნების სწავლაშიც. ინსტიტუტმა მზადყოფნა გამოთქვა, ფრანგული ენის სწავლების კუთხით ნებისმიერი სახის დაინტერესების შემთხვევაში დახმარებაზე.

ჩვენი ინფორმაციული ხასიათის, ნაყოფიერი და სახალისო ექსკურსია დღის ბოლოს განახლებული ბოტანიკური ბაღის დათვალიერებით დასრულდა.

მასალა მოამზადა ელზა ხარაშვილმა



დათ, მეტი დაახლოება ენასთან, მეტი ინფორმაციის მოძიება მის შესახებ, მოსწავლეების უფრო მეტად დაინტერესება მასზედ სხვადასხვა კუთხით. საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი მდებარეობს ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში ყოფილი „დიუმას ცენტრის“ ბაზაზე. იგი შედგება 50 სამკითხ-

ქართველ ავტორთა ფრანგულ ენაზე გამოცემული თარგმანებით. საქართველოში საფრანგეთის ინსტიტუტის დირექტორია ჟან ივ ლაფურაი. ჩვენი კლასი, პარალელურ კლასთან ერთად, ჩაერთო პროექტში „აღმოაჩინე მედიათეკა“, რომელიც 8 წელია, ხორციელდება. პარალელური კლასი ერთი კვირით ადრე იმყოფებოდა ინსტიტუტის მე-



## პროექტი ხორციელდება „ქალთა ფონდი საქართველოს“ დაფინანსებით გავუფრთხილდეთ ბარემოს!

მსოფლიო გლობალური ეკოლოგიური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მხოლოდ 60-ანი წლების შემდეგ ბირთვული იარაღის დატესტივიდან გლობალური კლიმატის ცვლილებებამდე, რამაც გამოიწვია მწვანე პოლიტიკის განვითარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი პრობლემები არ განჩინდა მე-20 საუკუნიდან. თუ დიდ ბრიტანეთში ჰაერი-

მოკლას ცხოველი და გაანადგუროს მცენარეული სამყარო. დღეს მსოფლიოში მწვანე პოლიტიკა გლობალური მოვლენაა, მისი მთავარი ფოკუსი გარემოს დაცვა, ხოლო მთავარი იდეა- ადამიანთა მიერ ბუნების დაცვა, რათა არ მოხდეს დედამიწაზე სიცოცხლის სისტემების კოლაფსი. სწორედ ამ იდეების მატარებელია „დედოფლისწყაროს ქალების“

ტეტის ტერიტორიაზე და კეთილ საქმეს ეხსახურება. ივნისის გედიქის წყლის სათავე ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო დასუფთავების აქცია, სადაც „დედოფლისწყაროს ქალების“ წევრების გარდა მოხალისედ ჩართვნენ სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდები პედაგოგებთან ერთად. წყალსაცავი წყლით ამარაგებს ოზაანს, ზემო მაჩხაანს, მირზაანსა და ტიბაანს. გულდასაწყვეტი სურათი დაგვხვდა ადგილზე ჩასულებს, ულამაზეს ბუნებაში გახვეული გედიქის ხევი ნაგავსაყრელად აქვს გადაქცეული ადგილობრივ მოსახლეობას. სამშენებლო ნარჩენები, პლასტმასის ბოთლები, ძველი ტანსაცმელი, რას არ ნახავთ აქ და გაგიჩნდებათ ლოგიკური კითხვა- ოდესმე თუ გვეშველება ჩვენ ამ კუთხით რაიმე? ალბათ მაშინ, როდესაც ჩვენს ცნობიერებაში ჩვენი ნაგავსაყრელი იქნება არა ჩვენი ეზოს გარეთ, არამედ მხოლოდ იქ, სადაც ამის სპეციალური ადგილებია გამოყოფილი, მანამდე, სანამ არ მივხვდებით, რომ ჩვენი სახალი ქუჩაც, ჩვენი ქალაქიც და ჩვენი ქვეყანაც.



სა და წყლის დაბინძურების კანონები მე-13 საუკუნიდან მოქმედებს, მანამდე ძველი ინდური ლიტერატურის ძეგლი- მანუს კანონთა კრებული ხაზს უსვამს, რომ არავინ უნდა

პროექტი „ქალები სუფთა გარემოსთვის“, რომელიც დაფინანსებულია „ქალთა ფონდი საქართველოს“ მიერ. იგი უკვე სამი თვეა აქტიურად ხორციელდება ჩვენი მუნიციპალი-

პროექტის ხელმძღვანელი ლალი მებრიშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს- „დედოფლისწყაროს ქალებმა“ პროექტის ფარგლებში დაასრულა დასუფთავების სამი აქცია, მინდა მაგალითად გადავუხადო კულტურის სამსახურს, მუზეუმს, სპორტის ცენტრს, გამგებობის, საკრებულოს თავმჯდომარეებს ამ აქციებში ჩვენი თანადგომისა და დახმარებისთვის, ასევე ოზაანის საჯარო სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს დასუფთავების აქციაში ჩართვისთვის, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ

პროექტის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს „ქალთა ფონდი საქართველოს“ წინ ელის კიდევ ერთი საინტერესო ტრეინინგი, რომელიც 19 ივნისს გაიმართება საკრებულოს დარბაზში. შემდეგ თვეებში ჩვენ გვექნება ზედამხედველობის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებთან ერთად გასვლითი ღონისძიებები და კვლავ სასმელი წყლის მონიტორინგი, ხოლო სექტემბერში საანგარიშო დასკვნითი ღონისძიება ქალთა ფონდის ხელმძღვანელობასთან ერთად.

ელზა ხარაშვილი

# ხალხური სიმღერისა და ჩვენი კუთხის სიმღერების ზეიმი და „ოქროს ბიჭების“ ტრიუმფი

(მეორე გვერდიდან) ტელევიზიის ანსამბლში და უკრავდა ანსამბლ „რუსთავში“ ლეგენდარულ მესალამურე- ომარ კელაპტრიშვილთან ერთად, რომელიც მისი მასწავლებელი იყო. გამოჩენილ ფოლკლორისტს აწვრილ ერქომაიშვილს არ გამოჩენია ნიჭიერი ახალგაზრდა და ის მიიწვია ბიჭუნათა სტუდიაში „მართვე“ ხალხური საკრავების პედაგოგად. სტუდია იმ შენობაში იყო განთავსებული, სადაც ანსამბლ „რუსთავის“ რეპეტიციები მიმ-

დინარეობდა. რეპეტიციაზე მოსული ჰამლეტ გონაშვილი ხშირად ინტერესდებოდა სტუდიის მუშაობით, სტუმრობდა მათ და გელასთან ერთად ურთიერთკონსულტაციებსაც კი გადიოდა ხალხური საკრავების ხაზით. ამიტომ ბატონი გელა სიამოვნებით იხსენებს ომარ კელაპტრიშვილთან, აწვრილ ერქომაიშვილთან და ჰამლეტ გონაშვილთან ურთიერთობას და მიაჩნია, რომ ბუნებაში არაფერი იკარგება: დღეს ის სწორედ ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკოლის პედაგოგია, რაც ეამაყება. მუსიკალური

განათლების მიღების მცდელობაც ჰქონდა და იმდროისათვის ყველაზე პრესტიჟულ თბილისის №3 მუსიკალურ სასწავლებელში (დირექტორი ქსენია ჯიქია) საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ორი წელი სწავლობდა. ის მადლიერებით იხსენებს ლოტბარ იროდი ტიკარაძეს და აწ გარდაცვლილ კოტე მშვიდლობაძეს, რომლებმაც შეაყვარეს ქართული ხალხური სიმღერა და დასაბამი მისცეს მის ცოდნას ამ დარგში. სწორედ ამ სიყვარულის გამო იყო, რომ ძირითადი საქმიანობის პარალელურად, მან

რამდენჯერმე ჩამოაყალიბა ფოლკლორული ანსამბლები და ძალიან ბევრ მოზარდს და ახალგაზრდას მისცა ცოდნა და გაუღვივა ეროვნული ხალხური სიმღერის სიყვარული. ასე რომ, ის დიდი წარმატება, რომელიც ჩვენმა სკოლამ მოიპოვა, უბრალოდ არ მოსულა, ეს სწორედ დიდი გამოცდილების, ცოდნის, დაუღალავი შრომის და მონდომების შედეგია. კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდებს.

ნაირა გორაშვილი





1947 წლის ივნისი

რაიონის კომისიის ბაზაზე, რაიონის ცენტრში გაიხსნა კბილების საპროთეზო განყოფილება, რომელიც ყველა სახის საპროთეზო ატარებს, როგორც ლითონზე, ისე ოქროზე, საპროთეზო სწარმოებს სახელმწიფო ფასებში. მთლიანი პროთეზი 420 მან, ხოლო გვირგვინი - 30 მან. ლაბორატორია 2-დან 5 საათამდე მუშაობს.

„არასწორი კაცი, საქმესაც არასწორად გააკეთებს“. ზემო ქედის მეძროხეობის ფერმის გამგის გიორგი მკერვალიძის ბიოგრაფიკული დოკუმენტი რედაქციამ წერილი მიიღო. წერილი შესასწავლად რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებას გადაეცა. განყოფილებამ ფაქტები დაადასტურა. გამგის უმასხისმგებლო მუშაობის შედეგად მოკვდა სამი ხბო, აგრეთვე მიითვისა და ცხოველმზადების განყოფილებას ჩააბარა სხვისი ერთი სული კამეჩი და სხვ. მკერვალიძის საქმე გადაცემულია საგამომძიებლო ორგანოებთან მის პასუხისმგებამი მისაცემად.

საგზაო მშენებლობას ნაკლებ ყურადღებას უთმობს სოფელ ჯაფარიძის, მიწაზანის, ზემო მაჩხანისა და წითელწყაროს 1 მისის კოლმეურნეობები. ქვემო ქედის მახარაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კარატიელმა საგზაო სამუშაოდან თვითნებურად მოხსნა მთელი მუშა ხელი, ტრანსპორტი და სხვა სამუშაოზე გადაიყვანა. მაშინ, როცა გზის სამუშაოები მხოლოდ 21%-ით ჰქონდა შესრულებული.

ქალაქის მე-2 საავადმყოფოში ექიმოკიკის დიაგნოზით გაკეთებულ ოპერაციაზე უიმე ვიათესი შემთხვევა დაფიქსირდა. ავადმყოფს ლეიშმანიოზის ექიმოკიკის ნაკვალავი საკვებით განვითარებული მდგომარეობის მკვდარი ნაყოფი ამოუღეს. ქალის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სამედიცინო ლიტერატურაში არ მოიპოვება ამგვარი შემთხვევა. ეს ფაქტი უდიდეს ინტერესს იწვევს. შემთხვევის შესასწავლად შეიქმნა სპეციალური კომისია.

1951 წლის ივნისი

წითელწყაროშიც ცხოვრობენ ხანგრძლივი ასაკის ადამიანები. სოფელ გამარჯვებაში 106 წლის იოვანი ჩუღაძის საუკეთესო სმენა და მხედველობა აქვს. რაიონში 90 წელს გადაცილებული არაერთი მოხუცია. დაბა წითელწყაროში ცხოვრობს 101 წლის ივანე ელიზბარაშვილი. მასაც შესანიშნავი მხედველობა, სმენა და მხედველობა აქვს. ის მომსწრეა, როცა შირაქში პირველად იღებდნენ ნავთს კომერსანტი მძებრი ალბერტი და შმიდტი პოპერმანები. მოხუცს ახსოვს, მეფის რუსეთის ჯარების სადგომი. მან გვიჩვენა დეკარისტი ოლოვესკის საფლავი, რომელიც მამისისგან გაუგია. მას ასევე კარგად ახსოვს წითელწყაროსა და ჯაფარიძის დასახლება. აქ პირველად რუსები დასახლდნენ, ისინი რუსეთის მეფემ გადმოსახლათ.

„მინდვრად მშრომლებს აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის ახალი ამბები. მაგრამ ავტორიტორი კომუნისტი დ. ნეპოჩტოვი, რომელიც პარტიორგანიზაციის კრებამ ავტორიტორად გამოჰყო, არაფერს აკეთებს. კითხვაზე, თუ რატომ ავიწყდება მოვალეობა, უპასუხა: „არჩვენები უკვე ჩატარდა და რაღა საჭიროა“. საავტორიტორი მუშაობა მთლიანად ჩამოიღო აგრეთვე წითლის მტს-ის მეცხრე სატრაქტორი ბრიგადაში. მოსავლის აღების დროს საავტორიტორი მუშაობის ჩამოღო მოუთმენელი ამბავია, დროზე უნდა გამოასწოროთ მდგომარეობა.“

წითელწყაროში დაიწყო თელავის თეატრის გასტროლები, მათ დადგეს შ. დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“. დადგმა ეკუთვნის შ. მემბარაშვილს. დიდი ბეჭდების, ლენინისა და სტალინის სკენიური განსახიერება ყველა თეატრისთვის როდია ხელმისაწვდომი. თელავის თეატრის დირსება იმამია, რომ ეს შესძლო.

1956 წლის ივნისი

„გათავდა ლუდი, დაიკეტა სასადილო“ - შირაქის მტს-ის სასადილო მუშუყვეტი მისაშვილი სასადილოს ლუდის მიხედვით ხსნის. განა რა ძალა აქვს ამ სიითს? განდებდა ლუდი, მოჰყვებდა ნაირ-ნაირი საჭმელები. გათავდა და ქრება ყველაფერი. სასადილოს დიდი კლიტე ადევს. გატაცებულნი არიან მოგებით და ანგარიშს არავის უწყვენ. პური ინახება მტერიან კარადებში, არ არის ხელის მახანი, არ აქვთ ჭურჭლის ტილოები და სანებისადგური თავს არ იცხელებს. გამგეობამ წინადადება მისცა ცუდი მუშაობისთვის გათავისუფლონ სასადილოს გამგე-გამყიდველი მისაშვილი და გარემონტდეს შენობა.“

„წინა წლებთან შედარებით იზრდება კვერცხისმდებელობა. კოლმეურნეებმა გააუმჯობესეს მეფრინველეობის ფერმების მდგომარეობა. აშენდა ახალი საფრინველეებიც. მაგრამ კვერცხის გვემა ჩამლის პირამდე მიიყვანეს ოხანისა და ზემო მაჩხანის მშრომე-

ლებმა. დაბალია კვერცხისმდებელობა საბათლოსა და წითელწყაროს კოლმეურნეობებში.“

წითელწყაროს ახალგაზრდობა აღფრთოვანებით გამოეხმაურა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას. რაიონში ყოველდღიურად შედის განცხადებები. მათ სურთ წაედინენ ციმბირისა და აღმოსავლეთის რაიონებში ბუნებრივი სიმდიდრეების ასათვისებლად. უკვე 38 პატრიოტი ელის გამგზავრებას.

არხილოსკალოში კინო ცუდად მუშაობს. მექანიკოსი ცხადდება ნასვამი. ამიტომ „მაგდაანს ლურჯა“ ხარჯებით უჩვენა. ამ დღეებშიც მრავალჯერ ჩაუქრა ძრავა, გაუწყდა ლენტე. მასურებული იძულებული იყო დარბაზი დატოვებინა. ხშირად ამ საქმეს უცოდინარ ადამიანებს ანდობს, ამიტომაც სურათი დავდაყირაა, ან უხარისხოდ ჩანს. არც ბილეთების საქმეა მოგვარებული. არავინ აკონტროლებს და ერთიადივე ბილეთი რამდენჯერმე იყიდება. კულტურის განყოფილების გამგე ბ. ჯანაშვილი ამბობს, რომ კინოექანიკოსი ჯანაშვილი გათავისუფლდება შემცველი მექანიკოსის გაგზავნისთანავე.

„ქვემო ქედი დიდი სოფელია, კეთილმოწყობილი გზები ესაჭიროება, მაგრამ ყურადღებას არაფერს აქცევს. კოლმეურნეობას ჰყავს საგზაო ბრიგადა, მაგრამ ხელმძღვანელი იანვარაშვილი უმოქმედობას იჩენს. გამორჩეულად ცუდ მდგომარეობაშია აღმოსავლეთის უბნები, გუბეები დგება და მოძრაობა შეუძლებელია. ამას კარგად ხედავენ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ფ. გულაშვილი და სხვები, მაგრამ დუმან. რაიონის საგზაო განყოფილებაც ნაკლებ კონტროლს უწყევს.“

სოფ. გამარჯვების სკოლის მასწავლებელი რედაქციას სწერდა, რომ წყლის სათავის დაზიანების გამო ძველი წყალი მოედინება და ადამიანებს საფრთხეს უქმნის. სახეივანსადგურს დაეკალა რეაგირება. მთავარი ექიმი ს. გონაშვილი გვატყობინებს, თავწყაროს სათავის შეკეთება დაეკალა გამარჯვების მტს-ს. ორგანიზაციას მიეცა გაფრთხილება დროულად ჩატარონ სამუშაოები.

9 ივნისს მოეწყო სეირნობის საღამო. კლუბის ბაღი გაჩნდნებული იყო ფერადი ნათურებით, უკრავდა სასულიერო ორკესტრი, რადიოლა, შეასრულეს აზუბი და ვერსოპული ცეკვები. მოეწყო ბუფეტი, ფოსტა, ლატარია. საზაფხულო დარბაზში აჩვენეს კინოსურათები.

1959 წლის ივნისი

„მალე „ლეტნიკი“ აფრიალებს პიონერული ლაშა. ზაფხულის არდადეგებს შინაარსიანად გაატარებენ რაიონის პიონერები საკოლმეურნეობათშორისო პიონერთა ბანაკში, რომელიც ივნისის ბოლოს იხსნება. „ლეტნიკის“ ტყეში ბანაკი ორ ნაკადად იმუშავებს, თითოეულში 80-მდე ბავშვი დაისვენებს.“

ამ დღეებში გაიხსნა წითელწყაროს ბაზრის კომიტეტის ახალი კაპიტალური შენობა. მშენებლობის პროცესშია ხორცის წერტილის შენობა. მიმდინარეობს ბაზრის მოედნის მოასფალტება.

რამდენიმე წელია წარმოებს რაიონულ ცენტრში ავტობუსების სადგურის მშენებლობა. სამუშაოები დამთავრდა, მაგრამ ჭერდინა წყალი ჩამოდის. ამის გამო მისი ექსპლუატაციაში გადაცემა შეუძლებელია. საჭიროა სამუშაოთა მწარმოებელმა ამხ. იამვილმა დროულად გადასცეს სადგურის შენობა.

წითელწყაროს რკინიგზის სადგურის კეთილმოწყობა ჰიანურდება. ერთგვარი სამუშაოები ჩატარდა, შაბათობის წესით დარგეს 300 ძირი მარადმწვანე მცენარე. ჩატარდა შენობის რემონტი, გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება. მაგრამ რკინიგზის გურჯაანის სარემონტო კანტორა ავთანურებს წყლის გამოყვანას და სკვერის შემოღობვის სამუშაოებს. არადა ნარგავები ზიანდება. ყურადღება უნდა აგრეთვე სადგურის უკან სკვერის მოწყობისა და მისასვლელი გზის მოასფალტებას.

სოფელ არბოშიკში უკვე შემოიჭრა კომუნისმის პირველი სხივი. კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით 6 ივნისიდან აბანო სოფლის მცხოვრებთ მომსახურებას უწყევს უფასოდ. ეს მაგალითი მისაბაძია სხვა სოფლებისთვის.

6 ივნისიდან დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ექსპლუატაციაში გადაეცა ყველაზე დიდი მექანიზებული ავურ-კრამიტის ქარხანა. წლიურად 1,6 მილიონ ცალ ავურსა და 208 ათას კრამიტს დაამზადებს. პროდუქციის ღირებულება მკვეთრად შემცირებულია.

(სტილი და ცულობა.)  
მოამზადა ილია მარტყოფილიძემ

„უნდა ვიმრავლოთ, უნდა ავმალღდეთ, გავაძლიეროთ ჯიბი და გენი!“

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დეთისმშობლის ნილსვედრი ქვეყანა, ადგილი, რომელიც ამქვეყნიური ედემია თავისი ბუნებრივი პირობებით. ასეთ ქვეყანაში დავაბიჯებთ ყოველდღე და ამაყები ვართ, რომ ამ მინის შეილება ვართ, ყოველი დილა სამშობლოს სიყვარულს რომ გავრძნობინებს. და ამ ყველაფერს ერთვის სწორედ 26 მაისი, - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, რომელიც კიდევ უფრო მეტად ამაყს გვდის ქართველს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ამ ყოველივეს ამაყად უსწორებს თავს. ყოველ გამონვევას ღირსეულად და პროგრესულად პასუხობს, რაც უკეთესი ცხოვრების ნაპერწკალს და ქვეყნის წინსვლის იმედს გვიღვივებს. ღონისძიებების სერიალს უკვე მერამდენედ გამოეპასუხა დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მისი ხელმძღვანელი თამარ ლაბიაშვილი თავისკენ გვიხმობს. 2 ივნისს ბავშვთა დაცვის დღე და 26 მაისი ერთობლივად აღნიშნეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. ღონისძიებას სახელწოდებით „საქართველო, ლამაზო“ ხელმძღვანელობდა გამომდილი პედაგოგი ნინო სიფრაშვილი. მისი ნიჭის წყალობით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეები უკვე გამოწრთობილები არიან მხატვრულ კითხვებში და ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს ლამაზი ტელევიზიების ისე წარმოთქვამში, რომ ძარღვებში სისხლის აჩქროლება კიდევ ერთხელ განგვეცადა. ღონისძიებაზე რჩეულმა მოსწავლეებმა მოიყარეს თავი, რომლებმაც თავისი სათქმელი მართლაც ერთი ამოსთქმეთი გვითხრეს და მთელი ჩვენი წარსული სულ ხელისგულზე გადავიშალეს. საქართველოს ჰიმნის მოსმენის და დრომის შემობრძანების შემდეგ მოვისმინეთ საკმაოდ საინტერესო პროგრამა. ღონისძიებაზე წარმოთქმული და გაუღერებელი იქნა ყველა საუკეთესო ლექსი თუ სიმღერა, რომელიც საქართველოს სიყვარულს გამოხატავდა. მოსწავლე ქეთი მეხრიშვილი ნიკიტისა ანა კალანდაძის ლექსი: „მოდიოდა ნინო მთებით“, მურმან ლებანიძის ლე-



ქეთი მეხრიშვილი და ნიკიტისა ანა კალანდაძის ლექსით „მოდიოდა ნინო მთებით“

ქსი „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“- ლალიანა უთრუთამეილმა შეგვახსენა. „შენ საქართველო, იების მინავ, შენ რქანაყარო ჩემო ვენახო!“-ამბობდა ნიკა გიგოლაშვილი. „ქვეყნის ტკივილში შემეშველეთ, ამატანინეთ, მასწავლეთ ხერხი, ერთი ლელი გამატანინეთ“-ამბობდა გიორგი გონაშვილი. „უნდა ვიმრავლოთ, უნდა ავმალღდეთ, გავაძლიეროთ ჯიბი და გენი!“-ამბობდა ნიკოლოზ რობიტიშვილი. დაიხსომე -საქართველო შენი საფიცარია, დაიხსომე -საქართველო უწმინდესი ხატია!“- წარმოსთქვამდა გიორგი ლოლაშვილი. „ამნარი სხვა სად არის, თუ არადა საქართველო!“- წარმოსთქვამდა მათე ხოსროშვილი. „ბარო, მთაო, ვარსკვლავებო, იდეგრძელე ჩემო ერო!“- ამბობდა ანანო ბიძინაშვილი. „სამშობლო უნდა გიყვარდეს, ყველაზე უფრო ძლიერ, ზეცა რომ იგანთიადებს, მინა დაიფენს იებს!“-ამბობდა კახი პოპიაშვილი. „მცირე ხარ და უსაზღვრო ხარ, ვარსკვლავივით ამობრწყინდი!“- წარმოსთქვამდა საბა უზუნაშვილი. „ღონისძი ავირდები, ჩრდილში დავიდგები, ჩემთვის ვარსკვლავს, ფანდურს სანატორლოს“- ამბობდა ნიკოლოზ რობიტიშვილი. „საქართველო გმირთა სისხლით შეღებილი ნაომარი მინდორია“-აცხადებდა გიორგი ლევაშვილი, „გორგასალის ანდერძია, მამქორი და დიდგორია“-ამბობდა თებროლე ლომსაძე.

ღონისძიების დასასრულს პედაგოგებმა კვლავ მოულოცეს მოსწავლეებს დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთა დაცვის დღე და ნინობა და უსურვეს მრავალი გამარჯვებული დღე ცხოვრებაში. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლიმ ჩატარებული ღონისძიება ეზომი ასფალტზე ხატვით დასრულდა.

ლალი მხეროშვილი

გაღლიერება

ამ რამდენიმე დღის წინ ბევრი დაესწრო „ახალგაზრდული იდეის“ მიერ განხორციელებული პროექტის „სოციალური საწარმო“-ს (მენეჯერი სოფიო ჯეთერიშვილი) ფარგლებში გამოფენა-გაყიდვას, რომელიც დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა. ამ პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჩვენი სსმ მოსწავლეები. სწორედ მათი ხელით შექმნილი ნამუშევრები გამოიფინა იმ დღეს მუზეუმში. რეალიზებული ნამუშევრებიდან მიღებული თანხიდან სსმ მოსწავლეებს გადასცეს მათი შრომის ანაზღაურება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა კი ბავშვებს აჩუქეს ერთი ლამაზი დღე- ექსკურსია მცხეთასა და შიო მღვიმეში, რითიც დიდი ბედნიერება მიაჩიქეს მათ.

გვინდა, გულითადი მადლობა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსს თამარ თამაზაშვილს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ნონა ჯიბლაშვილს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს.

**საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი, ამავე სამმართველოს პროფესიული ინკლუზიური განათლების ექსპერტთა გუნდის წევრი თამარ ტყეშაშვილი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ქეთი ლავროშვილი, სპეცპედაგოგები: ზანა ბაბანიანი, ირინა ფიროსმანაშვილი, მარგალიტა გონაშვილი.**

2016 წლის 18 აპრილს, დედა გარდამეცვალა... უამრავი ავადმყოფობის და ტრავმების შემდეგ, რაც მე და დედამ უკაცოდ ცხოვრების მანძილზე გადავიტანეთ, ღმერთი ყოველთვის გვეხმარებოდა კაცთმოყვარე და ძირძველ სტუმართმოყვარე ოჯახს. დავრჩი მარტო, მაგრამ უამრავი ხალხი ჩემს გვერდითაა. მადლობა ყველას, ვინც გაჭირვების დროს გვერდში დამიდგა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მამაობის თანადგომა. მადლობა მამა ნიკოლოზს, მამა ონოფრეს, მამა პეტრეს, ნინო ამირანის ასულ ბუღაშვილს, ფატიმა მასურაშვილს, ნუნუ ჩიზუბაშვილს, ელენე ბაიაშვილს, ნატო ვარდიამეილს. რომ არა მათი დახმარება, მე ვერ გადავრჩებოდი. ბევრჯერ „ბენჯე“ ეკიდა ჩემი სიცოცხლე. მადლობა თბილისელი თამარიკო ბენაშვილის ოჯახს, რომლებმაც თანხა მომანოდეს, რომ ზამთარში შემა მეყიდა. მინდა გულისტკივილით აღვნიშნო ისიც, რომ დედაჩემის ნათესავეებმა, დამ, დისშვილებმა და ძირძველმა მეზობლებმა გაჭირვების დროს, მუდმივ შემეცხიეს. ადამიანი გაჭირვებაში იცნობა და მეც გავივი ვინ ვინ იყო. მადლობა გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და „სათნობის სახლის“ თანამშრომლებს.

**პატივისცემით, ნინო როპიჯონის ასული გულაშვილი**



# „ჩემი ამოსავალი წერტილია, ეველა ქალი იყოს ბედნიერი“

დედოფლისწყაროში მცხოვრებ თამილა ლოპაძე-ნიკიას დეპრესიის დაძლევაში ყვავილები დაეხმარა. მას ორი შვილის გაზრდა მარტო უნევს, ამიტომ, პროფესიით ფილოლოგი, იძულებული გახდა ფლორისტი გა-მხდარიყო. მარტოხელა დედამ მალე აღმოაჩინა, რომ შემოსავლისა და მარჩენალის გარეშე დარჩენილ ოჯახს ყვავილები შვილების გამოკვების საშუალებას მისცემდა და ცხოვრების გზას უჩვენებდა. საწყის ეტაპზე შემო-სავალი ზედმეტად მწირი იყო, მაგრამ როგორც თამილა იხსენებს, მიწასთან და მცენარეებთან სახარვეზო საოცარი თერაპია აღმოჩნდა მისთვის. მალე ისე ჩაითრია, რომ ცხოვრების აზრი დაი-ნახა და უზარმაზარი ეზო ყვავილებით გაავსო. უკვე რამდენიმე წელია, მისი ეზოსა და ყვავილების მოსახარულე-ბლად მეზობელი რაიონებიდანაც კი მოდიან.

– ღმერთმა რომანტიკოსად დამბადა და ამით ბედნიერი ვარ. ბავშვობიდანვე მი-ტაცებდა ბუნება, მცენარეები. ახლა რომ ვიხსენებ, ყოველთვის მინდოდა, საშუალე-ბა მომეცემოდა, ეს გატაცება განმეხორციე-ლებინა. როცა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი დადგა და მომავალი ბუნ-დოვანი იყო, სწორედ მაშინ ამიხდა სურვილი და მაქვს ულამაზესი ეზო, სადაც უამრავი იმეათი ჯიშის ყვავილი ხარობს. შემიძლია თამამად ვიამაყო ამით, მით უფრო რაიონ-ის მასშტაბით... გარდა იმისა, რომ ყვავი-ლებთან მუშაობა სასიამოვნო პროცესია და შედეგსაც პოზიტიური განწყობა მოაქვს, ეს საქმე ხსნა აღმოჩნდა ჩემთვის. წლების წინ აღმოჩნდი ყველაზე რთულ სიტუაცია-ში, როცა გამოსავალს ვეღარ ვპოულობდი. მძიმე რეალობის წინაშე დავდექი, რომ და-მოუკიდებლად მე უნდა გადამერჩინა ორი შვილი. ეკონომიური და ყველანაირი ტვირთ-ი მე უნდა მეზიდა და რაიმე გზით მათი უზრუნველყოფა მომეხერხებინა.

– შესაძლებელია, დეპრესია მხოლოდ ყვავილებთან მუშაობით დაიძლიოს? – მერწმუნეთ, ერთგვარი თერაპიაა, ჩე-მთვის დიდი სიამოვნებისა და სიხარულის მომტანი აღმოჩნდა. რაც მთავარია, მათზე მზრუნველობის პროცესი მომხონს. დილით ავდგები თუ არა, ვიდრე ბავშვები გაიღვი-ძებენ, ჯერ ეზოში ჩამოვდივარ და ყვავი-ლებთან ვფუსფუსებ. ისენიც შვილებივით არიან, ყურადღება და სიტბო სჭირდებათ. მცენარე ცოცხალი ორგანიზმია, ამიტომ, ბუნებრივია, ისინიც გრძობენ და შესაბა-მისად რეაგირებენ ჩვენს მათდამი დამო-

კიდებულებაზე. ამიტომაც, აუცილებელია სწორად ვაგრძობინოთ ჩვენი მზრუნველო-ბა. როდესაც დიდ შრომას დებ და ყოველ-დღიურად ზედ დაჰფოფინებ, შემდეგ უკვე საქმე ძალიან გითრევს და შეუძლებელია, ისე გაჩერდე.

– როგორ ახერხებ ამდენი იმეათი ჯი-შის თავმოყრას?

– სხვადასხვა ჯიშების მოპოვება-გა-მრავლებას რაც შეეხება, ეს უკვე რალაც-ნაირად ფსიქოლოგიური ფაქტორია. როცა ბევრი გაქვს, კიდევ უფრო მეტი გინდა და მრავალფეროვნების შემოტანის სურვილი გაქვს. ინტერესი ძლიერდება და სხვა უცხო ჯიშებთან შეხების დაუოკებელი სურვილიც ჩნდება. მუდმივად უკმაყოფილების განცდა ამ საქმეშიც მკვეთრად იჩენს თავს. ერთ აუნერული აზრტია და ვერ ვისვენებ. სულ მინდა, რომ რალაც შევმატო, კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ლამაზი გავხადო ჩემი ეზო-ყურე. ყოველთვის რალაც ახა-ლი და უცხო ჯიშები შემომქონდა, ისეთი რომ სხვებიც გამეოცებინა და მეც სიამო-ვნება მიმელო. სწორად დავდივარ სხვადასხვა რაიონებში, სოფლებში. სადაც ყურს მოვკრავ, ინტერესი მიჩნდება და მოსვენებას ვკარგავ, სანამ ვნახავ და შევი-ძენ. ძალიან დიდი ხე-ა-ლების შემდეგ მოხერხ-და ამ შედეგის მიღწევა. პროცესი კიდევ უფრო რთულია, როცა ფი-




თუკი გიყვარს ეს დიდე-ბული საქმე, ყვავილების სი-ყვარული ყველაფერს ჩაგადე-ნინებს. დღეს უკვე თამამად ვამბობ ხოლმე, რომ ამდენი ჯიშის ყვავილი და ასეთი ლა-მაზი ეზო დედოფლისწყაროში არსად არის.

– ოჯახის დანგრევას უკა-ვირებ იმას, რომ დღეს ასე ძალიან გიყვარს ყვავილები?

– როცა მეუღლისგან მი-ტოვებული, ორი შვილით მარტო დავრჩი, ერთადერთი იმას ვფიქრობდი, რომ მიწას-თან ჭიდილი დამენყო და თავი გადამერჩინა. რატომღაც, მჯეროდა, რომ მე ამას შევძლებდი და აკი გამიმართლა კიდევ. უზარმაზარი ენთუზიაზმი რომ არ მქონოდა, ალბათ მალე მომბეზრდებოდა და ფარს-მალს დავყრიდი.

– ეკონომიური სიდუხჭირის ფონზე, რამდენად შესაძლებელია ყვავილებით ოჯახი შეინახო?

– უმუშევარი ვიყავი წლების განმავლობაში, შემდეგ ხალხთა მეგო-ბრობის მუხუჭში და-ვინყე მუშაობა. მაგრამ, რამდენიმე წლის მან-ძილზე სწორედ ყვავი-ლების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით მოვახერხე თავის გა-ტანა... მოგვსენებთ,



თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც კი მივხვდი, ისე წამივიდა საქმე ფლოლოგობიდან აგრონო-მობამდე. ვერ გავიანზრე, მთელი არსით ისე გადავერთე ამ პროფესიაში. არადა, არავი-თარი თეორიული ცოდნა არ მქონია. ყველა-ფერი მოიტანა ყვავილებისადმი უსაზღვრო სიყვარულმა და შვილების ფაქტორმა, რომ არსებობისთვის საჭირო პირობები შემექმნა. რა თქმა უნდა, სპეციალურ ლიტერატურა-საც ვკითხულობდი. ადამიანი სხვადასხვა რჩევების თუ გამოკითხვის შემდეგით დიდ ცოდნას იძენს, წლებთან ერთად კი გამოც-დილებაც მოდის. თუმცა, ყვავილს დიდი ფილოსოფია არც ჭირდება. ელემენტარულ პირობებს მოითხოვს, მინა, წყალი და მო-ფერება. მე კი იძულებული გავხდი, მთელი ყურადღება ამ სილამაზეში გადამეტანა და სრული ენერჯია მასში ჩამექსოვა. არც ენა-ნობ, ისეთი სასიამოვნო პროცესია, ჩათრევა იცის. ნარკოტიკი არასოდეს გამისინჯავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს უფრო მეტ დამოკიდებულებას იწვევს. არ ვმალავ, რომ დღითიდღე ვეფლობი ამ სფეროში.

– ვიცი, რომ ხშირი სტუმრიანობაა ამ ეზოში...

– ვინც ჩემს ეზოში შემოდის, მაშინვე აქეთ გაურბის თვალი. მაქვს შვიდი ფერის „დედოფლინი“... ძალზე იმეათი ყვავილია, როგორც სათიფურე მასალა, ასევე ღია გრუნტისთვის. მართლაც მეფერი ყვავი-ლია. ზუსტად ვიცი, ეს სახეობა ამ მხარეში არავის აქვს. როცა იგებენ, რომ ჩემს ეზოში ასეთი სილამაზე და საინტერესო ჯიშებია, ერთმანეთს გადასცემენ და უამრავი ადამიანი ინტერესდება. შემდეგ კი ასე ჯგუფურად, თუ ინდივიდუალურად მოდიან და ათვალიე-რებენ აქაურობას. ჩემთვისაც სასიხარულო და დიდი სტიმულის მომცემია, რომ ინტე-რესდებიან ჩემი ეზოთი, რადგან ვიცი ქა-ლის ბუნება. სხვაგან რომ ხედავს, დღეს თუ ხვალ თავის ეზოსაც გაალამაზებს. ზოგა-დად, როცა ქალი ასეთი სილამაზეს ემსახუ-რება, თვითონაც გადარჩება და ძლიერი გახდება. ჩემი ამოსავალი წერტილიც ეს არის, რომ ყველა ქალი იყოს ბედნიერი!...

ილია მარტყოფლიშვილი

ნანსური და ტექნიკური ხელშეწყობა არ გაქვს და ცარიელი ხელებით ცდილობ ეზო ნალკოტად გადააქციო... ფული როცა გა-ქვს, ყველაფერს ახერხებ, მაგრამ თუ არა-ფერი გავაჩნია და დიდი მიზნები გაქვს, შედეგის მიღწევა უფრო ხანგრძლივი და ძვილი პროცესია.


ფინანსური სახსრები თითქმის არასოდეს მქონდა. ამიტომ ხშირად ყვავილების ბოლქვებისთვის საჭი-რო ფული რომ არ მქონია, სხვა-დასხვა გზით გამომიძებნია, რათა სურვილი ამხდენოდა. ზოგჯერ გადამიცვლია, ზოგჯერ უჩუქებიათ და ასე მოვედით დღემდე.

ჩვენი რაიონის ბაზარი ნაკლებად მუშაობს, შეუძლებელია მისი იმედი გქონდეს, მაგრამ თბილისში და სხვა ქალაქებშიც მიმქონდა და ასე ვყიდდი. როცა ეზოში ვინმე შემო-დის, გამილი ხელით ვეგებები და ყველა სტუმარს სიხარულით ვხვდები... მათ დიდ ნაწილს სასურველ ჯიშს საჩუქრად ვატან, ხშირად ჩემივე ქოთნებით. ასე რომ, არც გაჩუქება მენახება, მოუხედავად იმისა, რომ დიდი შრომაა ჩადებული.

– მცენარეები სპეციფიურ მოვლას საჭიროებენ, მანამდე თუ გქონდა რაიმე სახის თეორიული განათლება ამ სფეროში?

– როცა მირეკავენ, ხშირად მეკითხე-ბიან, აგრონომი ხომ არ ხარო, მეღიბება.

### თამარ ბერიძე!



ჩვენი საყვარელი „ბუბა“, გუ-ლითადად გილოცავთ 80 წლის იუბილეს! გისურვებთ ჯანმრთელ სიცოცხლეს და ჩვენი გახარებას!

**შენი შვილიშვილები:** ანა მჭედლიშვილი, გიორგი (ზაჩო), ლაშა, მამადა, ნიკა მილავაძე-ნიკიანი და შვილთაშვილი მილანა მილავაძე-ნიკიანი.

\* \* \*

ჩვენი ერთგული, დაუღალა-ვო, გულითადი და თავდადებული დედა! გილოცავთ 80 წლის იუბი-ლეს! მადლობა რომ ხარ და სიყვარულით გვევლები თავს!

**გეფერებით, შენი შვილები:** მზინა და მინა მილავაძე-ნიკიანი, სიძე კალერი მჭედლიშვილი და რძალი მზინარ ჩხვიშიანი.

### ულოცავნი!

#### გელა ბილიაშვილს!

გულწრფელი სიყვარულით გილოცავთ შვილების ანა ბი-ლიაშვილის და გიორგი ბოლქვიშის ქორწინებას. ბედნიერებას, სიყვარულს და აკვანთა სიმრავლეს ვუსურვებთ ახლადდაქორწი-ნებულებს, თქვენ კი – მათი სიხარულით და ბედნიერი მომავლით გეხაროთ. თქვენი დედისურთა ანა გაგიმრავლოთ უფალმა.

**ძმა მამა, და მანანა ბილიაშვილები ოჯახში.**

#### ანა ბილიაშვილს და გიორგი ბოლქვიშს!

საყვარელი ბიძაშვილო, მთელი გულით გვიხარია შენი გაბედნიე-რება. მშინ და გიორგის ქორწინება ყოველივეს მყარი და სიცოცხლის ბოლომდე ისე გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც დღეს. ტრადიციული ქართული ოჯახი შეგექმნათ და შვილთა სიმრავლით გეხაროთ.

უფალი იყოს თქვენთან!

**ბიძაშვილები:** ლევანი და ლათო ბილიაშვილები, მამიდაშვილები: ქეთინო, ნათია, თაშუნა, სოლომონი და ნინო ჰოპიაშვილები

### გადლობა

დიდი ხანი მანუხებდა ნაღვლის ბუშტი, მაგრამ ძა-ლიან მეშინოდა ოპერაციის. ჩვენი საავადმყოფოს ექიმებ-მა დამარწმუნეს, რომ საშიში არაფერი იყო და ოპერაციის გაკეთება რისკს სულაც არ წარმოადგენდა. მართლაც, და-ვთანხმდი და უახლესი აპარატურით გამოკეთეს ოპერაცია, რომელმაც ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაიარა.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საავადმყოფოს ხელმძღვანელს სათუნა აგლაძეს, ქირურგებს- გია ბოსტო-ლიანაშვილს, ვასილ გონაშვილს და მთელ ქირურგიულ გან-ყოფილებას. თქვენმა პროფესიონალიზმმა შიში, რომელიც ოპერაციამდე მქონდა, სულ დამავიწყა.

**პატივისცემით, მზინა ჰოპიაშვილი**

ამინდი		დედოფლის		წყარო	
ორშაბათი 12.06	სამშაბათი 13.06	ოთხშაბათი 14.06	ხუთშაბათი 15.06	პარასკევი 16.06	შაბათი 17.06
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
21°	20°	21°	18°	20°	16°

<p>გამომცემელი შპს „შირამი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი</p> <p>რედაქტორი <b>ნაირა ბორჯაშვილი-პოპიაშვილი</b></p> <p>წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.</p>	<p>სარედაქციო კოლფა: ლალი მახარაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).</p> <p>გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირამის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.</p>	<p>რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)</p> <p>რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.</p>
--	---	---